

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ.ვანი თავისუფლების N65

19 თებერვალი 2021 წელი

15:30 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, გელა ვარდოსანიძე, შოთა გიორგაძე, მალხაზ ცერცვაძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** თამთა დვალიშვილი, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე, კობა მაგნიძე

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

**მოწვეული პირები:** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი-**ვანდა გიორგაძე;**

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია**

**კომისიის სხდომის თავმჯდომარე** - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხს: ივანე მამფორია

2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: ვანდა გიორგაძე

3. სხვადასხვა.

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### **მოისმინეს:**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის 2685 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3208,0 ათასი ლარი. 2021 წლის 201 იანვრის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე ნაშთის სახით ირიცხება 1283,0 ათასი ლარი, საიდანაც 701,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებია (მათგან 700,0 ათასი ლარი უკვე გათვლილი იყო 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში, ხოლო 582,0 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ნაშთიდან 582,0 ათასი ლარიდან: 264,6 ათასი ლარი წარმოადგენს შესრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდის გასვლამდე დაკავებულ თანხას, 180,9 ათასი ლარი გარდამავალი ხელშეკრულებების ნაშთს, ხოლო 136,5 თავისუფალ ნაშთს.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 10108,0 ათასი ლარით, გადასახდელები 11391,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1283,0 ლარის რედაქციით.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

### **დაადგინეს:**

წარმოდგენილი საკითხი გატანილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

### **მოისმინეს:**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების შესრულების შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს ვანის მუნიციპალიტეტის მერის N20 1478 ბრძანებით და განისაზღვრა 3604879 ლარით. 2020 წლის განმავლობაში შესყიდვების გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2020 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მერის N 20 1358 ბრძანებით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 10 258 331 ლარი.

2020 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იყო 76 ელექტრონული ტენდერი. აქედან: არ შედგა 15; უარყოფითი შედეგით დასრულდა 2; შეწყდა 3;

გამარჯვებული გამოვლენილი იქნა 56 შემთხვევაში, რის საფუძველზეც გზების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ღირებულებით 5 644 446 ლარი. გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 98 ხელშეკრულება. მათ შორის: მონეტარული ზღვრების დაცვით 59 ხელშეკრულება საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 76 951 ლარი. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP მოდულის მეშვეობით მიღებული თანხმობის საფუძველზე გაფორმდა 22 ხელშეკრულება ღირებულებით 441 593 ლარი. კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 15 ხელშეკრულება. სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებაზე 75750.26 ლარი; საბეჭდი ქაღალდის შესყიდვაზე-6952,5 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების და აქსესუარების შესყიდვა 1144 ლარი; საბურავების 3984 ლარი; სატელეფონო მომსახურების- 17858 ლარი; აკუმულატორი 215 ლარი; ნაგვის კონტეინერები - 54000ლარი. კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის ნებართვების საფუძველზე საწვავის შესყიდვის მიზნით გაფორმდა 12 ხელშეკრულება ღირებულებით 119 574 ლარი. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ფარგლებში გაფორმდა 5 ხელშეკრულება ღირებულებით 10612 ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

წარმოდგენილი საკითხი გატანილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე